

ყოველ ღვე ორშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქი შვილის სახლში, № 43
ქანტორა რედაქციისა: მელიქი შვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მღწერა: მიიღება ქანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროга“.

გაზეთის ფასი: მთელის წლი-სა—8 მან., ნახევარ წლი-სა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

დროება

ცალკე ნომერი ღვის შაუბათ

განცხადება: მიიღება რედაქციის, სოლოლაკს, ბანოვის და სხვ. ენებზე.
შასი განცხადებისა დღის ასო-ებით ასოზე—1 კაპ., უსო-მთვე-ყოლო-სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკლოთი—5 კაპ., პატრა—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდა

ჰენა, 19 ოქტომბერს. ბოსნიის აჯანყებულთა მოთავენი მოვიდნენ ბელგრადში და სერბიის მთავარს მილანს სთხოვეს, რომ დაეხმაროს იმათ ოსმალოებისაგან განთავისუფლებაში.

რაგუზა, 19 ოქტომბერს. ჩერნოგორიის თავადი არმიში მოვიდა. აქ ამბობენ, რომ ამ ვოკლე ხანში ისევ დაიწყება ბრძოლა ოსმალებსა და ჩერნოგორიელებს შუაო.

ჰენა, 19 ოქტომბერს. („ბოლოის“ დეპეშა). ლონდონის გაზ. „Standard“-ში სწერენ, რომ დიდი ჯარი რუსისა მეჯიდიედად სილისტრიისაკენ წასულა.

ამბობენ, რომ სტამბოლში ძალიან დაფთხობილია ხალხიო, აქ გავრცელდა ხმაო, რომ პლენო აიღეს რუსებმაო და ბურკო აღრიანოპოლის ასაღებად მოდისო.

ნემეცური გაზ. „Tagblatt“ ამბობს, რომ როგორც რუსები პლენოს აიღებენ, იმ წამსვე მორიგებაზე მოლაპარაკება ჩამოვარდებაო, თ. ბისმარკი და შორჩაკოვი ამ საგნის შესახებ დათანხმდნენ ერთმანეთშიო.

ოქის აგებები

აზიის ბრძოლის ველიდა

ნემეცურს გაზეთს „Fremdenblatt“-ში დაბეჭდილია თფილასიდა 4 ამ თვეს გაგზავნილი დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ არც შარსში და არც არზრუმში ოსმალოებს იმდენი სურსათი არა აქვთ მომზადებულიო, რომ ჯარს ამ ქალაქში დიდხან გაძლება შეეძლოსო; განსაკუთრებით ცუდს მდგომარეობაში იმყოფებაო არზრუმი, რომელშიაც ამ ჟამად 6,000 ოსმალოს დაჭრილი სალდათები არიანო.

როგორც მოგვსენებათ, შარსში ბე-

ერი ჯარი არ დაუტოვებიათ ოსმალებს; და მართლაც, თუ სიცივემ და ავდრიანობამ არ მისცა რუსის ჯარს დაბრკოლება, და თუ ეს ჯარი კარგათ შემოერთყა გარს, ამ ციხის აღება არ გაძნელდება.

რაიცა შეეხება არზრუმს, ოფიციალური ტელეგრამებედად ვიცით, რომ იქითკენ მიმავალ რუსის ატრიადებსა და არზრუმს შუა დგანან მუხთარ-ფაშისა და იხმაილ-ფაშის არმიები, რომელნიც უეჭველია, რაც ღონე აქვთ, ამ თავითვე ეცდებიან წინააღმდეგობა გაუწიონ, და მტერი არზრუმამდინ არ მიუშვან.

ამას გარდა ნუ დავივიწყებთ კიდევ, რომ მუხთარ-ფაშას ყოველის მხრიდამ ახალი ჯარები მოსდის ახლა...

„პეტერბურღის უწყებებში“ დაბეჭდილი დეპეშა ამართლებს იმ ამბავს, რომელიც ამ თვის 10-ს გვაცნობა ჩვენმა არტანელმა კორრესპონდენტმა; ეს ტელეგრამა ამბობს, რომ არტანის ატრიადის უფროსს, ღენ. პომაროვს, ბრძანება მოუვიდაო, რომ ოლთისაკენ გაემგზავროს თავის ჯარებით და შარსის მხრიდამ მომავალ რუსის (ბეიშანის და ტერლუკასოვის) ჯარებს შეუერთდეს.

ბაზეთს „Presse“-ში მოყვანილია შემდეგი დეპეშები, მიღებული თფილისიდა 12 ოქტომბერს:

„რუსის ჯარებმა ზარბაზნები დაუშინეს შარსს, რომელიც რამდენსამე ალაგას იწვის. რუსები ახლაც იქვე დგანან შარსის დასაველეთით, მაცრასთან, საცა აღრე იდგნენ. იხმაილ-ფაშა ბერგერში შევიდა. ლაზარევის კალონა კი ამ ჟამად შაგიზმანშია.“

სტამბოლიდა 12 ამ თვეს მიღებული დეპეშა გვაცნობებს:

„მუხთარ-ფაშამ გაამაგრა ზიენი. ინგლისის ღენერალი ტემბალი ამ ჟამად არზრუმშია.“

„არზრუმიდა იწერებიან, რომ მუხთარ-ფაშას დასახმარებელად აქედამ და ბათუმიდა დიდძალი ახალი ჯარი მიდის შარსისკენაო, და საზოგადოთ აქ დიდი მზადება არის. ოსმალებს იმედი აქვთო,

რომ კიდევ დასწევენ უკან რუსის ჯარსაო.“

ლონდონის გაზეთს „Daily Telegraph“-ში იწერებიან სტამბოლიდა: „ოსმალოეთის მთავრობამ ღიარბეკირის, მოსულისა, სივასისა და აგრეთვე მესაპოტამიის ღებერნატორებს ბრძანება გაუგზავნა ტელეგრაფით, რომ ახლაც, დაუყოვნებლივ, რაც ოაფისუფალი ჯარები ჰყავთ არზრუმისაკენ გაგზავნონ მუხთარ-ფაშის განკარგულებაში.“

შემომოყვანილისავე გაზეთის სიტყვით, რაშიდ-ფაშა თავის ატრიალით ამ ჟამად ჩიმ-თათის სიმაღლეებზე არის დაბანაკებული და ამნაირად საძხრეთითა და დასაველეთით იცვავს შარსის სიმაგრეს.

„ჩრდილოეთ ბერმანის საზოგადო ბაზეთში“ დაბეჭდილია შემდეგი სტრიქონები:

„როგორც ღუნაის არმიში ებრაელები მეჯარაღრებმა, აგრეთვე მცირე აზიის არმიში—სომხებმა ძალიან ცუდად წაიყვანეს ჯარის რჩენის საქმე და კეთილსინიღისიანად ვერ შეასრულეს მმართველობის მონღობილობა.“


„მცირე აზიის რუსის არმიში განსაკუთრებით მმართველობამ რამდენიმე ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა პოდრიადჩიკებისა და ინტენდანტის ჩინოვიკების მხრით, და ამის გამო რამდენიმე ჩინოვიკი საინტენდანტოსი სამართალში არის მიცემული.“ (მოსკ. უწყ.)

მხროვის ბრძოლის ველიდა

ბუშინწინ საღამოს ჩვენს ქალაქში მოსული ოფიციალური დეპეშა გვაცნობებს შემდეგ დაწერილებით ამბავს ღენ. ბურკოსაგან სოჭის გზაზე გამარჯვების შესახებ:

„12-სა და 16 ბორნიღუბნიაკთან და ტელეშთან ღენ. ბურკოს არმიამ აიყვანა ტყვედ 13 ტაბორი ქვევითა ჯარი და 5 ესკადრონი, სულ 7,000-მღინ, და 7 ზარბაზანი. ამ ჯარში ურევია 2 ფაშა და 200-მღინ აფიცერი, 3 ინგლისელი და 1 ფრანცუზი. მართმა სალდათმა ოსმალოს დროშა ჩაიგდო ხელში.“

„ამ დამარცხების შემდეგ, შევქმულთ ფაშა თავის 12 ბატალიონით გაიქცა რადომორკიდა; ჩვენი ცხენოსანი ჯარი მისდევს იმას.“



მსმალის მმართველობამ გამოაცხადა სტამბოლში 12 ლეინობისთვის შემდეგი ღებები:

„პლენოს ლუბერნატორი იწერება, რომ რუსებმა ხელ-ახლად დაუშინეს ყუბარები რუმეჩეს.“

„რეუფ-ფაშა ბალკანიდამ გვაცნობებს, რომ შიპკოს გადასაჯალთან ჩვენ და რუსებს გაუწყნარებელი ზარბაზნის სროლა გვაქვს.“

„ზობარტ-ფაშა სტამბოლში მოვიდა.“

შიპკოლამდე მენის გაზეთს „Tagblatt“-ში იწერებია, რომ, რადგან ამ გადასავალზე ამ ქამად საშინელი დიდი თოვლი მოვიდა და სიცივეები დადგა, ამის გამო მსმალის ჯარი უკან დაბრუნდა და სოფელს შიპკოლში დაბანაკდა.

შრანცუხულს გაზეთს „La France“-ში დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი იწერება, აქ ხმა არის გავრცელებული, რომ აღრინდელ ღუნაის არმიის მთავარ-სარდალს მჭმედ-პლი-ფაშას სამხედრო მინისტრად და მთელი მსმალის არმიის უფროსად დანიშნვას უპირობენო.

მაგრამ მეორე მხრით მენის „Presse“ გვარწმუნებს, რომ ამ ქამად მსმალეთი დიდძალ ჯარს აგროვებს სერბიის სამხედვარზე და მჭმედ-პლი-ფაშა ამ ჯარის მთავარ-სარდალად ინიშნება.

სამართველო

დღიური

* * * ბასულ სამზაბათს ჩვენს ქალაქში მოიყვანეს 200-მდინ მსმალის ტყვეები, რომელნიც 3 ლეინობისთვის აიყვანეს პელიართან ბრძოლაში ჩვენმა ჯარებმა. ამათში ურევია, როგორც გვიტხრეს, 12 აფიცერი და აფიცრებში ერთი შაბარდოვლი თ. ბეკოვიჩი, რომელიც ამ ათითხუთმეტი წლის წინათ გოაასულა მსალეთში. ამ ტყვეებს მალე პლადიკავკისისაკენ გაგზავნიან.

ამ დღეებში ჩვენს ქალაქში გამოატარებენ აგრეთვე დანარჩენ მსმალის ტყვეებსაც, რომელნიც პლექსანდროპოლიდამ წამოუყვანიათ და ახლა გზაზე არიანო.

* * * ბაზეთი „ივერია“ გვაცნობებს, რომ თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-სამულობანკის ზედამხედველმა პომიტეტმა ამ ბანკის დამწესებელთა კრებისათვის მეორე ვადა დანიშნა, 15 ნოემბერი, რადგან პირველი კრება არ მოხერხდა წვერთა ჯეროვანი რიცხვის შეუყრელობისა გამო.

* * * ძახეთილამ გვწერენ, რომ ეს ერთი კვირა მეტი იქნება, რაც აქეთკენ ბურუსიანი და უწვიმო დღეები არისო და სოფლის ხალხს მუშაობას უშლისო.

* * * ჩვენი არტანელი კორრესპონდენტისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი შენიშვნა:

ამ თვის 11-ს აქ ერთი სახლი და-

ანგრის შემოსთვის და კედელსა-და-კედელს შუა აღმოჩნდა და დაიძინეს ძელები; განსაკუთრებით ბევრი იყო თავები, მთლათ კედელი ამ თავის უსლებით იყო ამოყვანილი. ზოგი ამბობს, იქ იქნება 600 კაცის ძელებიო, ზოგი ბევრს, ზოგი ნაკლებს. მართი ჩემი ნაცნობი მარწმუნებდა, რომ ერთი მილიონი იქნებაო. მს, რასაკვირველია, ერთობ გახვიადებულია, მაგდენი კი არ არის, მაგრამ 200-მდინ კი იქნება.

„ხალხში ამბობენ, რომ ავაზაკების საქმეაო, ზოგი ხორელოსა და ზოგი მსმალეობის ჭანატიზმს აბრალებს.“

„ამ ძელებს, როგორც ამბობენ, ექნებათ ასზე მეტი წელი. მე მგონია რომ უწინდელ დროებაში, როცა მსმალის და ქართველებს ჰქონიათ ომი, ომში დახოცილნი ამ ადგილს ერთათ დაუსაფლავებიათ.“

„სახლებს აქ სულ მიწაში აშენებენ. როცა ამ სახლის ამშენებელმა ნახა ამდენი კაცის ძელები, აილო და კედელსა და კედელ შუა დაატანა, რადგან დაეზარა მეორეთ სადმე დამარხვა.“

არტანის ალბაში დახოცილნი ქალაქის ახლოს არიან დასაფლავებულნი; იმათ რომ ჯვრები არა ჰქონდეს, ვერავინ შეატყობს, რომ ამ ადგილას საფლავია და ვინ იცის რამდენიმე წლის შემდეგ იქნება ქალაქი გადიდეს და ამისთანა შემთხვევა მოხდეს კიდევ.“

* * * ჩვენ გვატყობინებენ, რომ ერთი გამოძკმელთაგანი ქართულს შაურთან წიგნებსა ამზადებს და ამ მოკლე ხანში აბეჭდვინებს საყმაწვილო წიგნს, სახელად „სახუქარი ქართველ ყმაწვილებს,“ რომელშიაც ზოგი დაბეჭდილი და ზოგი ჯერ დაუბეჭდელი საყმაწვილო ლექსები იქნება მოყვანილიო.

ფელტონი

პაპლონ მარკოვიჩი

მოთხრობა არდოვისა

თივადმა ჯვარი დაიწერა თუ არა, მაშინვე გამოუჩნდა „ლამაზ ლიუბას“ მეორე მფარველი...

თქვენ გგონიათ, რომ პაპლონ მარკოვიჩი აენტო თავისმოყვარეობით და გაბოზდა მას, როგორც საზიზლარ დედაკაცს? არა! ის მემრეთაც დაიარებოდა მასთან სიამოვნებით, მაგრამ, რომ აღარ უშვებდნენ, სიანს ენოთირებოდა იმას თვალეებში, და ერთ საღამოს გამოაგდეს გარეთ ამ სიტყვებით; „აღარ შემიძლიან მივიღო ყოველთვის შენისთანა საზიზლარი კაცი!“ აი გულწრფელი და ნამდვილი სიტყვა! საზიზლარი კაცი! ამაზედ უკეთესი სახელი მას არ შეეფერებოდა! ისე დაეცა ის სულით, რომ პატიოსან კაცს ვეღარ დაენახებოდა! შეაძლიეს

მას ჯამაგირი, უარი უთხრა. თუმცა ის სუსტი იყო, მაგრამ ფლიდს არავინ ეძახდა; და ილუპებოდა კი, თუ არ კეთილი კაცები:

ერთმა ძველმა მეგობარმა დაინახა ერთხელ... სამიკიტნოში... წაიყვანა თავისთან... უშოვნა ორი თუ სამი გაკვეთილი... და ირჩინდა თავს გაჭირვებით...“

პაპლონ მარკოვიჩი თან-და-თან სუსტათ დასუსტათ ლაპარაკობდა. ხმა უწყდებოდა, სულ ერთიანათ ჩაფლულყო სავარძელში და უაზროთ იყურებოდა გარეშეშეშე...

— ღიან, ღიან! წამოილულულა მან თითქმის დაიწყებულმა და თან ცდილობდა ამომძვრალიყო სავარძლიდან... იქ კი ყველაფერი თავის რიგზე მიდიოდა. მეორეს მიჰყვა მესამე, და მეოთხემ მიატრევა კიდევ! მძიმე ავთ გახდა და აბავილას ჰქონდა მისი თავი; შველა მისი ნივთები გაჰყიდეს და გადაიყვანეს საავთმყოფოში.

პაპლონ მარკოვიჩმა წამოიწია და დიდ-

გულათ შემომჩერდა....

— და როდესაც იწვა ის, წამოიძახა მან უეცრათ, სასიკვდილე სარეცელზე, ყველასაგან დავიწყებული, ვინ გაახსენდა მას? მის მოსაყვანად გამგზავნა? პაპლონ მარკოვიჩი მოიხმო! მინ მივიდა იმასთან? პაპლონ მარკოვიჩი! და ლიუბა ცხარის ცრემლით თხოვდა იმას მიტევენას და იმანაც მიუტევა! მაგრამ რა? მანა ასე ძნელი იყო იმის მიტევენა! მანა ის იყო დანიშნული? არაროდეს! პაპლონ მარკოვიჩი მარტო იმას არ ამტყუნებს! ის კარგათ ჰხედავდა, როგორ შენატრიდნენ მას... ის ჰხედავდა, როგორ სთესავდნენ მის ჩჩვილ გულში ბოროტებას... მაგრამ რამდენსაც ის ცდილობდნენ დაემდაბლებინათ პაპლონ მარკოვიჩი მის წინაშე, იმან ბოლოს მაინც სთქვა, რომ პაპლონ მარკოვიჩი მისთვის მაინც ყველაზე მაღალი სულისაა დედა მიწაზე. ღიან, ლიუბამ თქვა ეს, არა თუ ერთხელ, რამოდენიმე ჯერ! ღიან რამოდენიმე ჯერ. მს ნამდვილია....

მართ ჩვენ დამალულ სასწავლებელზე

„დროებამ“ და სხვა ჩვენმა გაზეთებმა გამოაჩინეს და დაანახეს საზოგადოებას ზოგიერთი ნაკლულოვანება ჩვენი სასწავლებლებისა. მხოლოდ ყველას დაავიწყდა ერთი იმათგანი, რომელიც ბუსავით მოშორებია თფილისის სინათლეს, და მიკუთვნილია სადღაც პედაგოგის კუთხეში.

რა არის მიზეზი, რომ გაზეთებმა ვერ მიაგნეს ამ პედაგოგის უკოლას? იქნება ეს სასწავლებელი იყოს ყოველად უნაკლულო? იქნება ამას აკლდნენ იმ ნაირი პირები, როგორც არიან სხვა სასწავლებლებში? შესცდება, ვინც ასე იფიქრებს. მე, როგორც პედაგოგი, ვიცნობ აქაურ პედაგოგებს; ბევრჯერ მიმიცია იმათთვის შემოსწავნილი კითხვები და პასუხათ მიმიღია: „ჩვენ ბედნიერები იმითი ვართ, რომ ჰერეტიკები არა გვეყვანან. რედაქციებმა არც კი იციან—ვართ სადმე თუ არა!“ თუმცა, როგორც სჩანს, ეს ჩვენი პედაგოგები ცდილობენ ყოველივე თავიანთ ნაკლულეყანება დამალონ; მარამ „ჭირი ერთხელც არი თავს იჩენს.“

ბევრი რამ გავიგონე და გავიგე შემოსწავნილ სასწავლებელზე, უბევრესი დამრჩა შეუტყობარი, მხოლოდ მცირეს მოგახსენებთ და იმასაც ისეთებს, რომლის დამტკიცება ნამდვილის ფაქტებით შემძლია.

ბერა უქმეების გარდა, საქმის დღეებში შემოსწავნილ სასწავლებლის შაგირდებს აქვსთ ერთ თავი საქმელი სა-

დილათ: შჩი ანუ სუბი და რამდენიმე მისხალი ხორცი. ასი მოწაფისთვის თურმე იწერენ ორ ფუთზე ნაკლებ ხორცს; გაყავით ეს ხორცი სადილ-ვახშმისთვის ორად; მიიღეთ სანეში ყასაბის ცულლუტობა წონაში, გამოარიცხეთ მსხვილ-მსხვილი ძვლები; გააძღეთ მზარეული და მოსამსახურეები,—და შეგეძლება წარმოიდგინოთ ის შაგირდის კერძი ხორცის ნაჭერი, რომელიც მიახლოებით უნდა აიწონოს.

არც ჩაცმა-დახურვა აქეთ საცოდავ მოწაფეებს საჭმელზედ უკეთესი. ბევრჯერ შემხედნია სასწავლებლის ეზოში წირვა-ლოცვის დროს, როდესაც შაგირდები ყოფილან ეკლესიაში, და დამინახავს დაგლეჯილ-დაფლეთილი 10—15 მოწაფეები. ეს ისინი ყოფილან ხოლმე, რომლების ქუჩაში გამოყვანა ვერ ვაუბედნიათ სირცხვილით.

ამ ნაირად შიმშილი, სიტუტლე, სიცხე სივიწროვე დასაძინებელ ოთახებში, სადაგლათ გაფუჭებული ჰაერი შეადგენს განუყრელ კუთვნილებას პედაგოგის სასწავლებლისას. ამიტომაც არც ერთ თფილისის სასწავლებელში არ იქნება ამოდენი რიცხვი ავთამყოფებისა, როგორც აქ.

ბანა ამ უწყსოებას ვერ ხედავს სასწავლებლის მთავრობა?

— რა ექნათ, ბატონოო, გიპასუხებს სასწავლებლის მთავრობა, განა ჩვენ ვერ ვხედავთ იმას, რასაც თქვენ გვეუბნებით, მარამ არ შეგვიძლიან გავაუმჯობესოთ მოწაფეების ცხოვრება; შეძლება არა გვაქვს.

რალაც სამწუხარო წინათ-გრძნობამ გადმომახტუნა ფაიტონიდან და გაეძვერი ხალხში. ტროტუარზე ეგდო პალონ მარკოვიჩი, სულ ერთიანათ სისხლში შეღებილი. ის იწვა პირ-აღმა დახუჭულის თვალებით და არავითარი სიცოცხლის ნიშანი აღარ ჰქონდა. იმის წინ დაჩოქილი იყო ვიღაც მოხუცებული კაცი და სიფრთხილით უხსნიდა სერთუკის ლილებს.

— სოცხალია? მკითხე ამ კაცს.

— სოცხალია ჯერ! მოკლეთ მიპასუხა. ზაგზაენეთ საჩქაროთ ტახტრევანზე. მიუბრუნდა ის პოლიციელს.

— ზაგზაენილია! ზანტათ მიუგო იმან.

ამ დროს პალონ მარკოვიჩმა თვალები გახილა, რამოდენიმე ხანს უაზროთ იხედებოდა; შემდეგ ჩემზე შეაჩერა თვალები; სიცოცხლის სხივმა გააბრწყინა ისინი.

— აა, ეს თქვენა ხართ? წამოიხრიალა. ხედავთ... დასრული მოვიდა... არ მეგონა, თუ პალონ მარკოვიჩი... აგრე...

შეიძლება, მკითხველო, მართლაც ამბობდეს, მაგრამ ზოგიერთი ბოროტი ენა ლაპარაკობს, ვითომც ერთი ენაღაც პედაგოგი შემოსწავნილი სასწავლებლისა არ ზიზღობდეს რამდენიმე ლუკმა მოწაფეებისა თითონ ჩაყლაპოს. ამ პედაგოგს კანონის ძალით ეძლევა სახელმწიფო სადგომი სასწავლებელში, სადაც სდგას სახლობით. სადგომი მდგომს ჭამაც უნდა; ესეც სახელმწიფო იყოსო, ფიქრობს პედაგოგი, და მიეზიდება დღეში ორ-ორ პურს. ამ პედაგოგმა თურმე იცის, რომ სასწავლებელმა თავის მოწაფეს არ უნდა აჩვენოს მაგალითი სხვის ხარჯზედ ცხოვრებისა, ამიტომ იგი აზიდინებს პურს თავის მოსამსახურეს, რომელსაც სახელმწიფო ჯამაგირი ეძლევა, ღამე...

ბანა ცარიელი პური უნდა ჭამოს პედაგოგმა და მისმა სახლობამ?! სხვა მასალებს მზარეული გამოანახავს და შეაზავებს საქმელს როგორც საჭიროა... მირზოვემა ნათი დააძვირა; ჩვენი პედაგოგი ამას არ ნადვლობს: იმას უნთია ოთხი ღამეა, როდესაც შაგირდების დასაძინებელ ოთახებში ბჭუტავს სამი.

ამ სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებელი განლაგეთ ისეთი პირი, რომელიც, როგორც ამბობენ, უფრო მშვენიერათ არჩევს ძახურს განჯურიდგან, ვიდრე მარტივ წინადადებას რთულიდგან.

პედაგოგი

პალონ მარკოვიჩი შებრალების სახით შემომამჩერდა. არ ვიცი რა შემატყო. ბოლოს უეცრად წამოხტა და აიჩქარა წასვლა.. რამდენი ვთხოვე დარჩენა, ანუ მიეცა ნება, რომ გავყოლოდი; მაგრამ მოღუბულის და უკმაყოფილო სახით შემომხედა.

— მე შესაბრალისი არი ვარ! შმორჩილესად გმადლობთ! მხლა არ შემიძლიან და სხვიმის.. ხვალ დასასაფლავებლათ... ვთხოვოთ მიბძანდეთ.....

ამ სიტყვებით დაიხურა ქუდი და არც კი შემოაუხედავს ჩემთვის, ისე გავარდა ოთახიდან..

მეორეს დღეს აღტქმისა-მებრ გავსწიე მშვენიერ ლიუბას დასასაფლავებლათ. რამდენიმე ნაბიჯზე მ—ს საავათმყოფოდგან, შეგროვილმა ხალხმა გადულობა გზა ჩემს ფაიტონს.

— რა ამბავია? ვკითხე მე ჩემს ახლო მდგომ გლეხს.

— მიღაც მთვრალი გაქვლიტეს, გულცივათ მიპასუხა.

დასრულდებოდა... მაგრამ!... სულერთი არ არის, ასე იქნება... თუ ისე?!

ხელ-ახლათ დახუჭა თვალები. სოტა ხნის შემდეგ ისევ გახილა. მე დავხარე.

— მე.. იქ.. შეუკვეთე ყვავილები, წამოიხურჩულა ძლივს. წაიღეთ.. წაიღეთ არ დაგავიწყდესთ... აღის ფერი... ვარდები... უყვარდა იმას...


სისხლი ამოასხა პირიდან. მუხლებზე მდგომმა კაცმა ნადვლიანათ გაიქნია თავი.

— ვერ მივიყვანთ ჩვენ ამას ცოცხალს.. მქვა და გადგა განზე.

სამარის მსგავსი სიჩუმე მდგომარეობდა გარემოში. პალონ მარკოვიჩი გაინძრა. საჩქაროთ მიეუახლოვდი და ავიღე მისი გაცივებული ხელი. მართს წამს თავის ჩამქრალი თვალები კიდევ შეაჩერა ჩემზე. მწარე ლიმილმა გადურბინა იმას სახეზე. ტუჩები გაანძრია; მაგრამ არც ხმა, არც სიტყვა არ მომესმა. პალონ მარკოვიჩი დაღუპდა საუკუნოთ..

თარგ. ა. მ—სა

(დასასრული)



„დროისა“ კორესპონდენცია

ზამო-იმაერთი, 10 ოქტომბერს. რამდენათ გავრცელდა ჩვენს ხალხში სწავლის სურვილი, დღეს ყველამ ცხადთ იცის. ჩვენი სოფლის შკოლები გახსნისათნავე შაგირდებით გაივსო; მაგრამ დღეს, საუბედუროთ, იმდენ შაგირდებს ვეღარ ხედავ შკოლებში. ზოგიერთ შკოლებში სულ მოსპეს სიარული ბავშვებმა და ზოგიერთის დახურვას თვითონ გლეხები თხოულობენ.

ცხადთ გამოჩნდა, რომ ამ შკოლებზე გული უფრილდება მდებალ ხალხს და იმ მნიშვნელობას აღარ აძლევს სოფლის შკოლას, რასაც წინათ აძლევდა.

რა არის ამის მიზეზი? რისგან არის, რომ პირველათ ასე შეხარია შკოლებს და ბოლოს მის დახურვას თვითონვე თხოულობენ?

ამისათნა ცუდი მოვლენის მიზეზს აქ ორნაირად ხსნიან: უფრის უფროსი და სასწავლებლებისა ამას მიაწერენ არა კეთილთა პირთა, რომელნიცა ვითომც აგონებენ ხალხს ცუდ ხმებს, აშინებენ მათ სალდათათ წაგიყვანებენ, თუ ბავშვები შკოლაში მიეციოთ. ანუ, ეუბნებიან—სწავლა სასარგებლო არ არისო და სხვა ამისთანებს. ამისათვის ამის შესაფერ საშუალებას ხმარობენ და მალა მთავრობასაც ამას ეუბნებებიან და ახსენებენ: საქმე კარგად წავიდოდა, რომ ამისათნა ცუდი პირები არ იყვეს საზოგადოებაშია.

ამას წინეთ ერთმა სოფლის შკოლის მასწავლებელმა მოახსენა უფრის უფროსს, შაგირდები აღარ შეკარებიანო, სულ თავი დაანებეს კლასში სიარულსა და როგორ მოვიქცეო. უფრის უფროსმა მამასახლისს მისწერა, გამოუცხადე საზოგადოებას შემოიყვანონ ბავშვები ჯამაგირი მოაგროვე და აძლიე უკლებლად მასწავლებელს ერთი ბავშვიც რომ არ ჰყვანდესო. ასე იქცევიან მამასახლისებიც.

ამ ნაირად ჩვენში შემოიღეს ამერიკული წესისამებრ ვალდებითი სწავლა. არცერთს გლეხს არ შეუძლიან თავი გაინთავისუფლოს სასწავლებლის ჯამაგირის გადასახადისაგან.

მასწავლებლებიც ამბობენ: ჩვენ საქმეს კარგად წავიყვანდით, რომ არაკეთილ კაცებსაო, რომელნიც ეუბნებიან ხალხს თუ შკოლაში შეიყვანეთ ბავშვები, სალდათათ წაგიყვანებენო...

მაგრამ ეს აზრი შემცდარია. მასწავლებლები ან ვერ მიხვდარან ამ წამდილ მიზეზს, ანუ არ უნდათ, რომ ის მიზეზი გაავებინონ საზოგადოებას.

ამისათნა ცუდი მოვლენაც და ჩვენი შკოლების შემცირების მიზეზი სულ სხვა გარემოება გახლავსთ და რომელია ეს გარემოება და მიზეზი ამას შემდეგში მოგახსენებთ.



განცხადებანი

ხვალ, კვირას, 23 ღვინობისთვის უფადლევ, მთილისის ქალაქის გამგეობის სადგომში მოიწვევიან ყველა ის პირნი, რომელთაც განიზრახეს მეომართ გაჭირებულ ოჯახების დახმარებელ საზოგადოების შედგენა და აგრეთვე ისინიც, რომელნიც თანაუგრძნობენ ამ საქმეს, რათა მოისმინონ უფ. მთილისის ღუ-

ბერნატორის წინადადება და მოილაპარაკონ ამა საზოგადოებრივ მოქმედებაზე.

ბიზლიეთისა (1-1)

ქუთაისში მიიღებან ყაფვილქვს საშუალ სასწავლებლების მესამე კლასამდინ მოსამზადებლად.

მსურველს შეუძლიან იკითხოს „ძილხი დის“ სასტუმროში მადამ დიუპონი.

ზანოვის ქუჩაზე, იაგარ მირზოევის სახლებში გავლე **ახალი მოდის მაღაზია**. მკერავ ქალის კაბებს, ტალმებს და შუბკებს, აგრეთვე ახალი მოდის დასახურავენსა და ჩასაცმელებს და საზოგადოთ ქალის ყოველ გვარ ტანისამოსს **ხელ-ფასს ვიღებ სინდისიანათ**. **გაბრიელ თორომაწონი**

ზოჩტის სახლის ქვეშ გაღებულთა **სარძიმო სახლადში**, რომელშიაც მსურველს შეუძლიან იყიდოს: რძე, ერბო, მაწონი და სხვა ყველაფერი, რაც რძისაგან ნაწარმოებია.

გამოვიდა ამ დღეებში

წესდება

სასჯელთაზედა რომელთაცა გადასწყვეტენ მომრიგებელნი მსაჯულნი.

ქასსაცოიონი განაჩენებითა და „თამაშამიას წესდება“ ისყიდება მთილისში, ტერ-ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ტერ-ბრიქუროვის აგენტთან და სილნაღში უ. ნ. ზამრეკელთან.

რკ. გზა.	ლილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელერაში	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
მთილისი	9 21	5 18			მცი სიტყვა მთილისიდან:		პეტერბურგი, 19 ღვინობ.		მთილისი, 20 ღვინობ.	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, შოს	1	მთი მანეთი ღირს:		შქვ. თეთ. მანჯისა, ფთ.	190
ზორი	11 58	9 43	2 40	1 23	ზორს, დუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 24 პენსი.	78	შქვილი წითელი . . .	145
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდვასს, მოსკოვს	2	პარიში 250 სანტიმი.	81	ქერი ფუთი	125
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, პარშავს . . .	2	სკონტი (სარგებლისფასი)	71	ბამბა მრევისა, ფუთი .	8 20
შვირილა	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	ბანკის ბილეთი 5%	94 50	— ამერიკისა, ფუთი . .	8 50
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	მოგებინი (პირველისფასი)	207 25	ბაჰენტილი ბამბა ფთ.	9 50
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგებინი (მეორე სესხი)	202 50	მატელი თუშური ფთ.	7
ახ.-სენაკი	—	—	8 57	4 76	ფოფტა		ბირაოს ფურცლები:		— თარაქამისა ფთ. . .	3 50
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) მთილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდი, ორშ. და სხმშ.		მთილ. სააზნ. ბანკისა.		პბრეშუმი ნუხური სტ.	3
შოთი	9 13				მ. ზურ. — პარასკ. და ორშ. მანეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან:		ხერსონის ბანკის (5%)	85 25	ქონი, ფუთი	5 80
სამტრედია	11 16		2 61	1 14	მთილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. ზურგეთს—ორშ. და პარასკ.		მოსკოვის (5%)	85 50	ქონის სანთელი ფუთი.	8
რიონი	12 13		3 41	1 69	წიგნის გავზენარუსეთში და სამზღვარ გარეთ:		აქციები:		სტეარინის სანთელი, ფ.	12 54
შვირილა	1 18	ლაშქ	3 98	2 21	წიგნის გავზენარუსეთში და სამზღვარ გარეთ:		მდვსის სავაჭრო ბანკის	177	ხორტი ძროხისა, ლიტ.	54
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	წიგნის გავზენარუსეთში და სამზღვარ გარეთ:		შოთი-მთილ. რკინ. გზის		— ცხვისა, ლიტრაჲ	63
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გავზენარუსეთში და სამზღვარ გარეთ:		შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	სპირტი, გრადუსი . . .	12
ზორი	7 5	4 87	3 64	3 9	წიგნის გავზენარუსეთში და სამზღვარ გარეთ:		ქაქაზის და მერკურის	225	— ფხვნილი ფუთი . . .	7 20
მცხეთა	8 50	6 59	9 8 5	4	წიგნის გავზენარუსეთში და სამზღვარ გარეთ:		პირე. საზღვევ. საზღვ.	745 50	ქავა გრვადი, ფუთი .	26
მთილისი	9 31	7 56	9 75	5 42	წიგნის გავზენარუსეთში და სამზღვარ გარეთ:		პეტერბ. საზღვევ. სან.	235 50	ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12
					წიგნის გავზენარუსეთში და სამზღვარ გარეთ:		მოსკოვის საზღვევ. სან.	268	მქრო 1/2 იმპერიალი .	8 28